სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ აცხადებს რეგისტრაციას პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“

პროგრამის მიზანია, მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების კონსტრუქციის ტიპების და მონტაჟისთვის გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების, ასევე სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების წესების აღწერა-დახასიათებას, მონტაჟისთვის საჭირო ნახაზის/სქემის წაკითხვას, უსაფრთხოების წესების დაცვით ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟს; შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას, ხარვეზების გამოსწორებას, წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციას.

რეგისტრაციის ვადები: 2023 წლის 5 დეკემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით.
https://vet.emis.ge/#/

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:</u>

- საბაზო განათლება;
- ასაკი: არანაკლებ 18 წელი;
- გასაუბრება;

გასაუბრება: 27.12.2023წ.

<u>კოლეჯში მისაღებად საჭირო დოკუმენტები:</u>

1. აპლიკანტის, შეზღუდულ ქმედუნარიანი/ მხარდაჭერის მიმღები აპლიკანტის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
2. აპლიკანტის, შეზღუდულ ქმედუნარიანი/ მხარდაჭერის მიმღები აპლიკანტის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;
4. 2 ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე;
5. სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე, თუ სრული ზოგადი განათლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;
6. უცხოეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;
7. მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებული დოკუმენტების არქონის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი (მაგ. სამახსოვრო ბარათი, განცხადების რეგისტრაციის ფურცელი და ა.შ.), მოთხოვნის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. მითითებულ ვადაში აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში მსმენელს შეუწყდება სტატუსი;
8. კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა.

<u>აღნიშნული დოკუმენტების დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ან არასრულყოფილად წარდგენა გახდება აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.</u>

სწავლა დაიწყება არაუგვიანეს 2024 წლის 10 იანვრისა.
სასწავლო პროცესი განხორციელდება კოლეჯის კეთილმოყწობილ გარემოში;
სწავლის ხანგრძლივობა 10 კვირა - 123 საათი, 12 საათი კვირაში;
პროგრამის კურსდამთავრებულებზე გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი.